ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **მერი გოგოლაძე -ჩადუნელი**

თანამდებობა: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“- წევრი.

ფერსის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატი 30.10.2025წ-დან.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ -თავმჯდომარის მოადგილე.

საანგარიშო პერიოდი 2025-2026 წ. წ

საანგარიშო პერიოდში ჩემი, როგორც საკრებულოს დეპუტატის, საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების დაცვა, მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა და ადგილობრივი პრობლემების შესაბამისი უწყების წინაშე დაყენება. წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდი ადგილობრივ მოსახლეობასთან, ვეცნობოდი მათ საჭიროებებს, ვიღებდი ინფორმაციას სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ და ვცდილობდი, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შემეწყო მათი მოგვარებისთვის.

ძირითადი საქმიანობა:

1. მოქალაქეებთან ურთიერთობა- მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების მოსმენა, მოქალაქეთა განცხადებებისა და მოთხოვნების შესაბამისი რეაგირებისათვის წარდგენა. მოთხოვნიდან გამომდინარე შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობის გაწევა.
2. ინფრასტრუქტურული საკითხები- სოფლის შიდა გზების მოწესრიგების ხრეშის შეტანის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენისა და სხვა ინფრასტრუქტურული საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამის სამსახურებისთვის.

   მაგალითად: სოფ. მუგარეთში ტრაქტორით სანიაღვრე არხის გადაჭრა, რათა თავიდან ავიცილეთ მოსახლეობის კერძო ნაკვეთების დატბორვა და ასევე ცენტრალური გზის დაზიანება.

3. სოციალური საკითხები- სოციალურად დაუცველი და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების საჭიროების გამოვლენა და მათ დასახმარებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა. მერიის მიერ სასურსათო

პროგრამის ფარგლებში გაცემული ვაუჩერების დარიგება ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად.

4. მოსახლეობის სხვა საჭიროებები- მიწის, სარწყავი წყლის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებისა და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა.
5. თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმართველობასთან- ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი გადაწყვეტის მიზნით შესაბამის პირებთან თანამშრომლობა.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას , სოფლებში არსებული პრობლემების დროულად გამოვლენასა და მათი მოგვარების გზების ძიებას.

ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ მოსახლეობასთან შეხვედრები, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტების გაცნობა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა: გიორგიწმინდა-გარე განათების მოწყობა, მუგარეთი- სასაფლაოს შემოღობვა, ფერსა- სასაფლაომდე მისასვლელი გზის დაგება.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობას ვიღებდი საკრებულოს სხდომებში, სამუშაო შეხვედრებსა და ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

მონაწილეობა მივიღე: საკრებულოს გეგმიურ სხდომებში დავესწარი-17 სხდომას .

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი- კომისიის რაოდენობა 5, დასწრება -5.

მათ შორის განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების მათი მწვრთნელებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების , მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე.
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერიის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერიის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი-სხდომების რაოდენობა-10, დასწრება-10. მათ შორის განხილულ იქნა :

1. ,, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მომსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
3. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N 14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
4. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული ,, ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“- შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასთან მიერთების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი ადგილობრივი თვითმართველობის მიერ ორგანიზებულ სადღესასწაულო -კულტურულ ღონისძიებებსა და შეხვედრებში:

1. საახალწლო მთავარი ნაძვის ხის ანთების ღონისძიება.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წლის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება.
3. საშობაო სადღესასწაულო ღვთის მსახურებაზე დასწრება.
4. საბა გამწმენდელის ხსენების დღესთან დაკავშირებულ სადღესასწაულო წირვაზე დასწრება.
5. ,,ახალციხელობა 2026“.
6. ფერსის საჯარო სკოლაში ბოლო ზარზე დასწრება.
7. აგარის ბაგა-ბაღში შემაჯამებელ- დამამთავრებელ აქტივობაზე დასწრება.
8. ფერსის საჯარო სკოლაში სასწავლო წლის მილოცვა.

9. 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივისცემის მიგების ცერემონიალი.
10. დიდმოწამე მარინეს ხსენების დღესთან დაკავშირებით სადღესასწაულო ღვთის მსახურებაზე დასწრება.
11. ახალციხის მუნიციპალიტეტში ოჯახის სიწმინდესა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით მასშტაბურ მსვლელობაში მონაწილეობის მიღება.
12. ახალციხის მუნიციპალიტეტში მე-2 მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების ღონისძიებაზე დასწრება.
13. ვეტერან ფეხბურთელთა რეგიონულ საფეხბურთო ტურნირზე დასწრება.
14. სახალხო დღესასწაული ,,აწყურლობა".
15. ქ. ვალეში საშემოდგომო ღონისძიება ,,ვალეობა"
16. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ერთწლიანი საქმიანობის ანგარიშის წარდგენაზე დასწრება.
17. ,,ვარდისფერი ოქტომბრის" გახსნის ღონისძიებაზე დასწრება.
18. ახალციხის ახალი საკალათბურთო სპორტ-დარბაზის გახსნასთან დაკავშირებულ აქტივობაზე დასწრება.

აღნიშნულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს მიწყობს მოსახლეობასთან კომუნიკაციას , მათი საჭიროებების გაცნობას და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვას.

სამომავლო გეგმები:

მომავალშიც გავაგრძელებ მოსახლეობასთან აქტიურ კომუნიკაციას , სოფელში არსებულ საჭიროებების გამოვლენას, ადგილობრივი პრობლემების შესაბამის უწყებებთან განხილვას და ადმინისტრაციული ერთეულის განვითარების ხელშეწყობას.

ჩემი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად კვლავ დარჩება მოსახლეობის ინტერესების დაცვა, მათი საჭიროებების გათვალისწინება და ადგილობრივი თვითმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა.

შევსების თარიღი: 15. 10.2026

წარდგენის თარიღი: 15.10.2026

ხელმოწერა: _____